ოქმი:**ო37. 3723185001**

თარიღი:**04/07/2023**

# ოქმი #14

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## ბიუროს მორიგი სხდომის

2023 წელი 3 ივლისი

ქ. ოზურგეთი

16.00-17.00 საათი

**თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია -** საკრებულოს თავმჯდომარე

**ესწრებოდნენ:** მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ნ. ჭანიშვილი, ტ. აროშიძე, გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, პ. კიღურაძე, ქ. ხომერიკი, მ. ჩხიკვიშვილი.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მათ მიაწოდა კვორუმზე ინფორმაცია, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 8 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

## დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების (ს.კ. 26.26.57.389) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე**

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი**

3. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის მომსახურების ცენტრი“-სთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე**

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის მუნიციპალური ინსპექცია“-სთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე**

5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, დაბა ნარუჯის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ სკვერში (ს.კ. 26.27.07.005), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მებრძოლების უკვდავსაყოფად მემორიალური ობიექტის განთავსების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ქ. ხომერიკი**

7. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

**გადაწყვიტეს:**

ბიუროს დღის წესრიგში წარმოდგენილი N 1, 2, 3, 4, 5, 6 საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი